თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2019 წლის 25 იანვარი

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №39 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/03/2018, 010250050.35.163.016417).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის „პირობებით გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი“ პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მყიდველი ვალდებულია შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები და მათ შესრულებაზე გამყიდველს წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4-ის „პირობებით გამოცხადებულ საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი“ პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მყიდველი ვალდებულია შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები და მათ შესრულებაზე გამყიდველს წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიგა ორკოდაშვილი**